სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს ეძღვნება

მასობრივი სტარტები

ახლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე ყოველდღიურად საინტერესო შეჯიბრებები ეწყობა: ლენინის დარბაზში პირველ ოქტომბერს დაიწყო და 7 ოქტომბერს დამთავრდება კალათბურთში თბილისის თასის გათამაშება; ამავე პერიოდში ასეთივე ჯილდოსთვის ხელბურთელები „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში ასპარეზობენ; მოზარდი ბადმინტონისტები საქალაქო პირველობისთვის ერთმანეთს ხვდებიან 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტულ დარბაზში... ყველა ეს და სხვა შეჯიბრებები საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს ეძღვნება. მაგრამ მარტო ზემოთ დასახელებული ღონისძიებებით როდი ამოიწურება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი პროგრამა. კონსტიტუციის დღეს უძღვნიან თავიანთ სტარტებს თბილისის საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადის მონაწილენიც. ამ სპარტაკიადის საზეიმო გახსნა დღეს 17 საათზე, კიროვის სახელობის პარკის მოედანზე მოეწყობა. სპარტაკიადაში მონაწილე ველოსიპედისტთა, მშთ მრავალჭიდელთა, მძლეოსანთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ქართული ჭიდაობის მოყვარულთა შეჯიბრებები 17 ოქტომბერს დამთავრდება. გახსნის ზეიმზე მოსულნი ნახავენ საინტერესო შერკინებებს ქართულ ჭიდაობაში, რომელიც დღეს დილის 10 საათიდან აიღებს სტარტს და სწორედ კონსტიტუციის დღეს, 7 ოქტომბერს დასრულდება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 192
(7003)

6
1981 წ.
ოქტომბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გაზეთ „თბილისის" პრიზზე

•

ამანათრბენი დედაქალაქის ქუჩებში

ესტაფეტა მიაქვთ მძლეოსნებს

კვირას კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საინტერესო მძლეოსნური ესტაფეტა გაიმართა ქალაქის ქუჩებში. გუნდებმა გაზეთ „თბილისის" სპეციალური პრიზი გაითამაშეს. შეჯიბრებაში 29 კოლექტივი ჩაება. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი მძლეოსნური გადარბენა, რომლის ტრასა 21 ეტაპისაგან შედგებოდა. შვიდჯერ ესტაფეტა ქალებს მიჰქონდათ.

ლენინის სახელობის მოედნიდან 29 ქალმა ერთდროულად აიღო სტარტი. მალე ლიდერობა ხელთ იგდეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წარმომადგენლები დაწინაურდნენ, მაგრამ ლენინის მოედანზე მოწყობილ ფინიშთან პირველი მაინც ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი მიიჭრა. ამ კოლექტივმა საუკეთესო შედეგი (16.46,0) აჩვენა და მთავარი პრიზი დაიმსახურა. ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა — 17.32,0. მას სულ რაღაც 3 წამით ჩამორჩა ფიზკულტურის ტექნიკუმის მძლეოსანი, რომელმაც ტექნიკუმების ჯგუფში თავის კოლექტივს პირველობა გაუნაღდა.

უმაღლესი სასწავლებლების გუნდების შეჯიბრებაში უნივერსიტეტის სპორტსმენებმა III ადგილი დაიკავეს (19.25,0), ტექნიკუმების ჯგუფში კი II და III ადგილები წილად ხვდათ ინდუსტრიული (19.28,0) და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების (20.49,0) კოლექტივებს.

სტუდენტებს ბევრად როდი ჩამორჩნენ დედაქალაქის ცხრა რაიონის ნაკრები გუნდები და საწარმოო დაწესებულების მძლეოსნები. ისინი შესაბამისად III და IV ჯგუფებში ცდიდნენ ძალებს. აქ ადგილები ასე განაწილდა: 26 კომისრის (20.02,0), ლენინის (20.05,0) და ორჯონიკიძის (20.30,0) რაიონები. სპორტკლუბები „სინათლე" (19.52,0), „განთიადი" (21.37,0) და „უშბა" (21.40,0).

გაზეთ „თბილისის" რედაქციის მთავარი პრიზი ამ გაზეთის რედაქტორის მოადგილემ ო. იოსელიანმა საზეიმოდ გადასცა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, სხვა პრიზიორებმა კი მიიღეს ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური თასები.

* * *

სურათებზე: თბილისის ქუჩებში გამართული მძლეოსნური ესტაფეტის სტარტი; ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები ერთ-ერთ ეტაპზე; ესტაფეტაში გამარჯვებული ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

სხვა ღონისძიებები

კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ამით არ ამოწურულა. დედაქალაქის ცხრავე რაიონში ეწყობა სპეციალური ღონისძიებანი. მაგალითად, პირველი მაისის ფიზკულტურული ორგანიზაციები 7 ოქტომბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ბაზებზე გამართავენ ფიზკულტურელთა ზეიმს. გლდანის რაიონის მიკრორაიონებში მიმდინარეობს შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კონსტიტუციის დღეს კი ოსტატი ა. ბლაგიძე ჩაატარებს ერთდროული თამაშის სეანსს ჭადრაკში. კალინინის რაიონის ორგანიზაციები ი. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციასთან ერთად მთაწმინდის პლატოზე 7 ოქტომბერს მოაწყობენ მოჭიდავეთა მასობრივ შეჯიბრებას, რომელშიც ახლო სოფლების — ოქროყანის, შინდისის, ტაბახმელისა და სხვათა ფალავნებიც მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირი 17 საათზე დაიწყება...

მ. ზაქარეიშვილი.

ა. კარპოვის მეორე გამარჯვება

3 ოქტომბერს მერანოში (იტალია) ა. კარპოვ—ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე II პარტია გაიმართა, რომელიც ცხარე ბრძოლის შემდეგ გადაიდო საბჭოთა დიდოსტატის უპირატესობით. 4 ოქტომბერს თამაშის განახლებისას კარპოვმა შეძლო ზედმეტი პაიკის რეალიზება და გაიმარჯვა.

მეორე პარტია

ესპანური პარტია

-კარპოვი — კორჩნოი

3—4 ოქტომბერი, 1981 წ.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 მf6 4. 0—0 მ×e4 5. d4 კe7 6. ლe2 მd6 7. კ×c6 b×c6 8. d×e5 მb7 9. მc3 0—0 10. ეe1 მc5 11. კe3 მe6 12. ეad1 d5 13. e×d6 c×d6 14. მd4 კd7 15. მf5 d5 16. მ×e7+ ლ×e7 17. ლd2 ლh4 18. მe2 ეfe8 19. b3 ეe7 20. მg3 ლf6 21. f3 კe8 22. მe2 h6 23. კf2 ლg6 24. მc1 d4 25. მd3 ლf6 26. კg3 ეd7 27. ეe5 ლd8 28. ეde1 ეd5 29. ე×d5 ლ×d5 30. ეe5 ლd7 31. ლe1 ეc8 32. b4 ლd8 33. ეa5 ლd7 34. h3 f6 35. ე×a7 ლd5 36. ეa5 ლd7 37. ეa7 ლd5 38. ეa5 ლd7 39. ლe4 კf7 40. ლf5 ეe8 41. მფh2 ლb7 42. a3 (ჩაწერილი სვლა) ეd8 43. h4 h5 44. მf2 ლd7 45. ეa6 ლe8 46. ლa5 კg6 47. მd3 მფh7 48. ლb6 ეc8 49. a4 კf5 50. a5 c5 51. b×c5 კ×d3 52. c×d3 მ×c5 53. ეa7 ლg6 54. ეc7 ე×c7 55. კ×c7 მ×d3 56. ლ×d4 მe5 57. კ×e5. შავები დანებდნენ.

ესპანურ პარტიაში პრეტენდენტმა ამ დებიუტის მივიწყებული, ძველებური სისტემა აირჩია. მაგრამ თამაშის გათანაბრება მაინც ვერ შეძლო. კარპოვმა მარჯვე მოქმედებით ცენტრში დაუსუსტა მას შავი უჯრები. ღრმა პოზიციური მანევრებით მსოფლიო ჩემპიონი თანდათან ლაზიერის ფრთას დაეუფლა და ეტლიც იქ გადაიყვანა. 34-ე სვლაზე კორჩნოი უპაიკოდ დარჩა.

გადადებულ პოზიციაში ზედმეტი პაიკის რეალიზება ადვილი არ იყო, მაგრამ კარპოვმა მეთოდურად გაამარტივა თამაში და გამსვლელი პაიკიც აამოძრავა.

შთამბეჭდავია მსოფლიო ჩემპიონის დამაჯერებელი თამაში ამ პარტიაში.

მაშ ასე, ლიდერობს კარპოვი — 2:0.

გუშინ, 5 ოქტომბერს გვიან ღამით მატჩის მესამე პარტია უნდა გამართულიყო.

GENS UNA SUMUS

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

○ ჭადრაკი ● ჭადრაკი ● ჭადრაკი ● ჭადრაკი ● ჭადრაკი

ამჯერად ჭადრაკის სასახლეში...

მართალია, რამდენიმე დღის წინ მ. ჩიბურდანიძემ და ნ. ალექსანდრიამ დაამთავრეს ბორჯომში თავიანთი დაძაბული მატჩის პირველი ნახევარი (გაითამაშეს 8 პარტია), მაგრამ ჯერ კიდევ ძნელია გარდასული ბრძოლის ანალიზი. მით უმეტეს, რომ ორთაბრძოლა გრძელდება.

სპორტული პაექრობა ზედიზედ ოთხი ყაიმით დაიწყო. თუმცა სამი პარტია გადადებული იყო. მეხუთე პარტიაში გაიმარჯვა ალექსანდრიამ, მაგრამ ლიდერობა ვერ შეინარჩუნა — მსოფლიო ჩემპიონმა ზედიზედ მოიგო მეექვსე და მეშვიდე პარტიები და დაწინაურდა — 4:3. მერვე პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

უბრალო ჩამოთვლაც კი ხაზს უსვამს ორთაბრძოლის დაძაბულობას, ყოველი ახალი შეხვედრის მნიშვნელობას.

მატჩის ყოველი პარტია მწვავე შემოქმედებით ბრძოლაში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით დებიუტში. 8 პარტიაში დიდოსტატმა ქალებმა 5 სადებიუტო სისტემა გამოიყენეს — სიცილიური დაცვა (სამჯერ), ძველინდური დაცვა (ორჯერ), უფიმცევის დაცვა, ახალინდური დაცვა და უსახელო დასაწყისი, რომელიც ბერდისა და რეტის დებიუტების ნაერთს წარმოადგენს.

სიცილიურ დაცვას (შავებით) ალექსანდრია მიმართავდა და ადვილად ძლევდა სადებიუტო სიძნელეებს. მეხუთე პარტიაში მან თეორიული დუელი მოიგო ერთ აქტუალურ ვარიანტში. ძველინდურ დაცვას (შავებით) ჩიბურდანიძე იყენებდა. ჩანს, სასურველი პოზიცია რომ ვერ მიიღო, მეექვსე პარტიაში უფიმცევის დაცვა გაითამაშა, მერვეში კი — ახალინდური.

დებიუტი, როგორც ეს მიღებულია, მიტელშპილის ხასიათს განსაზღვრავდა. ყველა პარტიაში მეტოქენი ერთმანეთს ისეთი რთული პრობლემების წინაშე აყენებდნენ, რომელთა დადებითი გადაჭრა დიდ ენერგიასა და სიფხიზლეს მოითხოვდა. ამიტომაც 8 პარტიას მოჭადრაკეებმა თითქმის 50 საათი მოანდომეს. რა ექმნა უნდა, ასეთ დროს გონება გადატვირთულია და

(დასასრული მე-4 გვ.).

როგორია თქვენი აზრი ?

ჩვენი სპორტის პრობლემები

პირადი ბედნიერების ფასი

ეს წერილი ეხება სპორტსმენი ქალის ოჯახის შექმნას, რომელსაც ხშირად ქართული სპორტის გულშემატკივარისთვის დამაფიქრებელი შედეგები მოსდევს ხოლმე.

აი, კონკრეტული ფაქტი, რამაც არსებითად განაპირობა ამ პრობლემის საჯაროდ გამოტანა: უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდს („ბურევესტნიკად“ წოდებულს) მასობრივად ეწია ბედნიერება — გათხოვდა რვა მოთამაშე გოგონა (საჭიროდ არ მიმაჩნია მათი გვარების დასახელება).

მერე რა არის აქ გასაკვირი და საგანგაშო? — იკითხავთ ალბათ. — მოხდა ჩვეულებრივი სასიხარულო ამბავი, გოგონებმა შექმნეს ოჯახები, ...ამას მოჰყვება მსჯელობა იმაზე, რომ ოჯახი ცხოვრების ფუძეა და ა. შ. ეს ყველაფერი სწორია; სხვებთან ერთად მეც ვულოცავ გოგონებს გაბედნიერებას, მაგრამ მკითხველს შევახსენებ, რომ მათ ქორწინების მეორე დღესვე დატოვეს გუნდი, საერთოდ მიატოვეს კალათბურთი და ის სახელოვანი კოლექტივი, რომელიც ამდენი ხანია გამოდის საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში (ადრე კი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა), დაშლის პირას მივიდა. ამ გოგონათა შორის ბევრი 22 წელსაც არ არის გადაცილებული, მათ ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლოთ გუნდისა და რესპუბლიკის ღირსების დაცვა, მაგრამ, როგორც ხედავთ, საქმე მოულოდნელად შეიცვალა. ქორწინების ნიადაგზე რვა წამყვანი მოთამაშე მოაკლდა ქართულ სპორტს. მინდა ვიწამო, რომ მათ ალბათ გულიც შესტკიოდათ მშობლიურ კოლექტივზე, დიდი შინაგანი ბრძოლაც გადაიტანეს, მაგრამ სპორტს მაინც უღალატეს.

ერთი პირობა შევეჭვდი: მაქვს კი უფლება ჩავერიო ახალგაზრდების პირად ცხოვრებაში, საჯაროდ ვიმსჯელო მათს მოქმედებაზე? იურიდიულად იქნება არც კი მქონდეს უფლება, მაგრამ მე ხომ პირველ რიგში ჩემი ქვეყნის მოქალაქეს, ქართული სპორტის ბედით დაინტერესებულ პირს, საკითხის მორალური მხარე აბსოლუტურად მამართლებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც პირადული აგერიგად გადეხლართება საზოგადოებრივსა და უშუალო გავლენას ახდენს მასზე.

არ ვენდე საკუთარ შეხედულებებს, შემეშინდა სუბიექტურობას არ გაეცალკერძებინა იგი, ამიტომ ვესაუბრე სპეციალისტებს, მწვრთნელებს, პედაგოგებს, სპორტსმენებს, ახალგაზრდებს, გასათხოვარ გოგონებს, მოხუცებსაც.

ამიტომ ჯერ განზე დავდგები და მხოლოდ გამოკითხულთა პასუხების ძირითად შინაარსს გაგაცნობთ.

გამოკითხულ ვაჟთა ერთი ნაწილი კატეგორიულად აცხადებს: მე მეუღლე იმიტომაც მინდა, სამუშაოდან დაღლილი რომ მოვალ, ოჯახში სითბო და ყურადღება დამახვედროს. რა გამოვა, თუ იგი დაღამებამდე ვარჯიშზე იქნება? მე კიდევ მოვითმენ, მაგრამ ბავშვი რომ გაჩნდება, მაშინ რაღა ვქნათ?

ზოგმა ისიც თქვა, გათხოვილი ქალის სპორტულ ფორმაში გამოსვლა უხერხულიაო. ასეთმა პასუხმა ახლო წარსულში გადამახედა და გამახსენა 50-60-იანი წლების ზოგიერთი სპორტსმენი ქალი, რომლებმაც სპორტი ქმრების მკაცრი მოთხოვნის გამო ქორწინებისთანავე მიატოვეს („ან მე, ან შენი სპორტი და შიშველი ხტუნვა მაყურებლის წინაშე“).

რას ამბობენ თვით კალათბურთელი გოგონები? მათ საქმით გვიპასუხეს. მათი მეგობრები და ნაცნობები კი ამბობენ: რას ერჩით მათ, ხუთი-ექვსი წელი ხომ ემსახურნენ სპორტს? ახლა კეთილი ინებონ და სხვებმა ღვარონ ოფლი!

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც სულ სხვაგვარად შეხედეს ამ ფაქტს, მე უყოყმანოდ ვიზიარებ მათ პოზიციას. ამ ადამიანთა ერთ ჯგუფთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა და სწორედ ამ საუბრის მოკლე შინაარსის გადმოცემით მინდა ვთქვა ჩემი სათქმელიც.

ეს ამხანაგები სამართლიანად შეჩერდნენ იმ გარემოზე, მეგობარ-ამხანაგების წრეზე, რომელშიც გამუდმებით ტრიალებენ ეს სპორტსმენები. აზრს, რომლითაც გამსჭვალულია ეს გარემო, სერიოზულ ანგარიშს უწევენ სპორტსმენები. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი გავიხსენეთ: ჩვენს სახელოვან სპორტსმენ ქალს ნინო დუმბაძეს, წარმატებით რომ გამოვიდა 1946 წელს ოსლოში გამართულ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე და მსოფლიო რეკორდი მოხსნა, სალამოს პრესკონფერენციაზე ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა ქალმა ჰკითხა ოჯახი თუ გაქვთო. როდესაც გაიგო, რომ მას ქმარ-შვილი ჰყავდა, გაოცებულს უთქვამს — როგორ, თქვენს ქვეყანაში გათხოვების შემდეგ ქალები კიდევ უბრუნდებიან სპორტს? ეს ფაქტი ნ. დუმბაძემ აღწერა თავის წიგნში „გზა რეკორდისკენ“. მაშინ, 40-იან წლებში გათხოვების გამო სპორტის მიტოვება ჩვენში ისეთი იშვიათი მოვლენა იყო, რომ მაშინდელ ქართველ მკითხველს დამცინავ ღიმილს გვრიდა ნორვეგიელი ჟურნალისტის ასეთი გულუბრყვილო შეკითხვა. მას შემდეგ სულ რაღაც 35 წელი გავიდა და საზოგადოების ამგვარი განწყობილებიდან თითქმის არაფერი დარჩა. ფაქტია, რომ ამჟამად გამოკითხული ადამიანების მსჯელობა უკვე საკმაოდ დაუახლოვდა იმ ნორვეგიელი კორესპონდენტის შეხედულებას. რა დასამალია, მათ მსჯელობას აკლია პოზიცია, რომელიც კერძო ინტერესებთან ერთად საზოგადოებრივ ინტერესებსაც უნდა უწევდეს ანგარიშს.

იმ რვა გოგონას შესახებ კი, რომლებმაც მიატოვეს კალათბურთი, ბევრმა თქვა: მათ შექმნეს ოჯახი — ეს მისასალმებელი და მისალოცია, მაგრამ რა დააშავა სპორტმა? რატომ იკარგება უკვალოდ მათი დაოსტატებისათვის გაწეული ხარჯები და ყურადღება, მშობლიურ სპორტულ კოლექტივში წლების მანძილზე განცდილი სითბო და სიყვარული? ყოველივე ეს იმად მაინც უნდა ღირდეს, რომ პირად ბედნიერებასთან ერთად არ დაივიწყო სპორტი და ოჯახის შექმნის შემდეგ რამდენიმე წელი კიდევ ემსახურო საერთო საქმეს, ჩვენს სპორტს, ე. ი. იმ საქმეს, რომლის წინსვლა და განმტკიცება დღეს ყველა ჩვენგანის დიდი ზრუნვის საგანია. არ დამავიწყდება ერთი ძველი სპორტსმენის ნათქვამი: „მე დარწმუნებული ვარ, — დანანებით შენიშნა მან, — რომ იმ გოგონებში, ისე როგორც მრავალ სხვა ახალგაზრდაში, ძალუმად ჩქეფს ქვეყნის სიყვარული, ისიც მინდა ვიწამო, რომ განსაცდელის ჟამს შეიძლება სიცოცხლეც ანაცვალონ სამშობლოს, მაგრამ ახლა რა დაემართათ? ახლაც ხომ ქვეყნისადმი მათი სიყვარულის და თავდადების გამოცდის ჟამი დაუდგათ. რატომ, რატომ ვერ გაუძლეს ამ გამოცდას?

აქ მე მინდოდა გამეხსენებინა ის სახელოვანი სპორტსმენი ქალები, რომლებმაც გაბედნიერების შემდეგაც არ მიატოვეს სპორტი და წარმატებით იცავენ რესპუბლიკის სახელს. მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ „ცხელ“ ცნობას მოგაწვდით: თვალი გადაავლეთ ა. წ. 27 სექტემბრის გაზეთ „ლელოში“ საქართველოს მშთ მრავალჭიდის ჩემპიონატში გამარჯვებულთა გვარებს. მათს შორის არის მზია მაქაცარიაც. თქვენ შეიძლება არც კი იცით, რომ მზია სამ შვილს ზრდის, უვლის ოჯახს, მაგრამ მაინც იმდენ დროს უთმობს ვარჯიშს, რომ რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა და მალე საკავშირო პირველობაზე მოუწევს გამოსვლა.

მინდა მკითხველმა იცოდეს უმრავლესობის აზრი იმ მამაკაცთა შესახებ, რომელთა მეუღლეებმაც გათხოვებისთანავე დააობლეს ჩვენი სპორტი. ვიცით, რომ ბევრი მათგანი შესანიშნავი მოქალაქეა, ბევრს აკეთებენ ჩვენი საზოგადოებისათვის, მაგრამ ფაქტი სახეზეა — მათი მეუღლეები ჩამოცილდნენ სპორტს.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობაზე, — მითხრა ერთმა სამამულო ომის მონაწილე დარბაისელმა მოხუცმა, — გარკვევით ითქვა, რომ ჩვენ უფრო სპორტის მაყურებლები ვართ, ვიდრე აქტიური სპორტსმენებიო. ეს სამართლიანი შენიშვნა, სამწუხაროდ, ყველას გვეკუთვნის. ჩვენ ყველანი მიმსხდარნი ვართ ტელევიზორებთან, განვიცდით და ვუკიჟინებთ სპორტსმენს, თუ იგი ვერ გვიჩვენებს მაღალ ოსტატობას, მაგრამ იმავ დროს, არავის არ უნდა იმ სპორტსმენის როლში ყოფნა; მართლაც, ყოველდღიურად 6-7 საათიან ვარჯიშსა და ოფლის ღვრას განა არ სჯობს ნაყინით ხელში სტადიონის ტრიბუნაზე მოკალათდე და სხვებს პასუხი მოთხოვო? ასეთი ტენდენცია მშობლებშიც გავრცელდა; მათი აბსოლუტური უმრავლესობა სხვებისაგან მოითხოვს ქვეყნის სპორტული ღირსებისათვის ბრძოლას, საკუთარ შვილს სპორტს ახლოს არ აკარებს, სამაგიეროდ რეპეტიტორებთან დააძუნძულებს. საუბედუროდ, ამ ტენდენციას ვერ ასცდნენ ის ვაჟებიც, რომლებიც კალათბურთელებზე დაქორწინდნენ. კიდევ ვიმეორებ, მათ მართლაც ბევრი წინააღმდეგობა ხვდებათ (რად ღირს თუნდაც ის ამბავი, ერთ ახლადდაქორწინებულს რომ შეემთხვა: ერთ სალამოს სამსახურიდან დაბრუნებულს მაგიდაზე დახვდა მეუღლის წერილი: „სასწრაფოდ გამომიძახეს შეკრებაზე, ჩამოვალ ერთი თვის შემდეგ“ (ესეც შენი თაფლობის თვე!), მაგრამ აქვე მინდა გავიმეორო ის, რაც უკვე ვთქვი: ყველაფრის მიუხედავად მათ მაინც უნდა გაეღოთ მცირე მსხვერპლი და როგორც მოქალაქეებსა და პატრიოტებს მთლად არ გაეწირათ ის სპორტული კოლექტივი, სადაც მათი მეუღლეები აღიზარდნენ და დაქალდნენ.

თორემ რა გამოდის: თუ ყველა სიძე (ღმერთმა მათი რიცხვი გვიმრავლოს!) ერთნაირად იაზროვნებს და არაფრად ჩააგდებს სპორტულ მოძრაობას, მის ინტერესებს, განა ძნელი წარმოსადგენია სადამდე მივალთ? მე დარწმუნებული ვარ, ბევრ მათგანს სავსებით გულწრფელად შეუსვამს ჩვენი ერის ძლიერების, ჩვენი სპორტის, მისი საუკეთესო წარმომადგენლების სადღეგრძელო (ყველა ჩვენგანი სიამოვნებით მიიღებდა ასეთი სადღეგრძელოს ალავერდს), მაგრამ თუ ამ წრფელ სურვილთან ერთად იმ ცოტაოდენი მსხვერპლის გაღებას არ ისურვებენ და მათს ნადღეგრძელებ სპორტს საძირკვლის კიდევ ერთ აგურს გამოაცლიან, რა გამოვა?

ახლა ამ საქმეს არაფერი ეშველება. არა მგონია თუნდაც ხვრელიდან გველის ამომყვანმა ენამ დააბრუნოს ისინი გუნდში; მაგრამ ამ ფაქტმა არა მარტო უნდა დაგვაფიქროს, არამედ სასწრაფოდ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაგვადგმევინოს. როგორც ჩანს, ზემდგომმა სპორტულმა ორგანიზაციებმა (მე მარტო საზოგადოება „ბურევესტნიკი“ არ მაქვს მხედველობაში) უნდა გამონახონ საშუალებები (როგორც ეკონომიური, ისე მორალური) იმისათვის, რომ სპორტსმენმა ასე იოლად არ გაიმეტოს კოლექტივი. ცხადია, ბევრი რამაა დამოკიდებული მწვრთნელებზე, ახალგაზრდებთან მათ მიერ გაწეული მუშაობის ქმედითობაზე, ბევრის გაკეთება შეუძლიათ უშუალოდ ოჯახებს, საზოგადოებრიობას.

დასასრულს მინდა კიდევ ერთხელ მოვუბოდიშო ამ წერილის დაუსახელებელ გმირებს ასეთი სათუთი საკითხის საჯაროდ გამოტანისთვის, მაგრამ თუ რამ ვთქვი, ვთქვი მხოლოდ იმის გულწრფელი სურვილით, რომ ქორწინება, ეს დიდი პირადი ბედნიერება, ჩვენი სპორტის უბედურებად არ გადაიქცეს.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი.

რედაქციისაგან: ა. ციბაძის წერილში დასმული პრობლემა მართლაც უჩვეულოა თავის ხასიათით, მაგრამ ჩვენი სპორტული მოძრაობისათვის მეტად დროული და დამაფიქრებელია. რედაქცია თხოვს მკითხველს აზრი გამოთქვას წერილში დასმული საკითხების ირგვლივ.

ფიზიკური კულტურა და სპორტი—ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი მშრომელთა, განსაკუთრებით ბავშვების, ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა დამკვიდრდეს. ამ მიზნით ბევრი რამ კეთდება ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, რიგის ლენინგრადის რაიონის № 99 საბავშვო ბაღში მოწყობილია მშვენიერი სპორტული დარბაზი, მოედანი, აქვთ სხვადასხვა ინვენტარი, რაც აღმზრდელებს უადვილებს ბავშვებთან ფიზკულტურულ მუშაობას (სურათებზე მარცხნივ, ზემოთ); ჩრდილოეთ ოსეთში უყვართ ტურიზმი. ახობით მოზარდი მოგზაურობს ზურგჩანთით ცეხისის მიდამოებში (მარჯვნივ, ზემოთ); ვლადიმირის ოლქის სუზდალის საცხენოსნო სკოლაში 35 ნორჩი მხედარი ვარჯიშობს.

საკდესის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამოელები — ნაკრებში

7 ოქტომბერს თურქეთში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში თბილისის „დინამოდან“ მიწვეული არიან **ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე, ვ. დარასელია, რ. შენგელია** და **ვ. გუცაევი.**

სსრ კავშირის ნაკრების მზადებას ხელმძღვანელობს მწვრთნელთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი **ნ. ახალკაცი.**

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს 1 ოქტომბერს გამართული მატჩის სტატისტიკური მონაცემები.

„ნეფთჩი“ — „ქაირათი“ 3:1 (2:1).

გოლები გაიტანეს ალმაათელმა შტრომბერგერმა (5 წთ), ბაქოელებმა ჯავადოვმა (9), ნურმამედოვმა (38) და ალიევმა (72).

გაფრთხილებულნი არიან ალმაათელი ფეხლევანიდი და ბაქოელი უზბეკოვი.

დუბლიორები — 1:3.

I ლიგა

4 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 38-ე ტურის კალენდარული მატჩები: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — ასკ (ხაბაროვსკი) 5:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:3, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „კარპატი“ (ლვოვი) 3:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პრიკარპატიე“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 0:0.

დღეს მთავრდება ამ ტურის თამაშები. ქუთაისის ტორპედოელები ოდესაში ხვდებიან ადგილობრივ არმიელთა გუნდს, ხოლო კიშინიოვის „ნისტრუ“ ღებულობს ლანჩხუთის „გურიას“.

„დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:4 (1:1)

პირველი, რაც ამ მატჩის საანგარიშო წერილში უნდა აღინიშნოს, ისაა, რომ ფოთის „კოლხეთის“ მეკარემ ტყებუჩავამ სამჯერ შეძლო მის კარში დარტყმული პენალტების მოგერიება. პირველად, 27-ე წუთზე, როცა ანგარიში არ იყო გახსნილი, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. გვანცელაძემ (თბილისი) ფოთელთა კარში დანიშნა 11-მეტრიანი და ტყებუჩავამ აიღო თაყაძის მიერ დარტყმული ბურთი. ტაიმის დასასრულს „კოლხეთის“ მეკარემ მოიგერია პენალტი, რომელიც გაგუამ დაარტყა, ხოლო 78-ე წუთზე გორელებმა კვლავ თაყაძეს მიანდეს 11-მეტრიანი საჯარიმოს შესრულება და ტყებუჩავამ ამჯერადაც იმარჯვა.

პირველი 10 წუთის მანძილზე შესამჩნევად აქტიურობდნენ მასპინძლები, მერე უპირატესობამ გადაინაცვლა „კოლხეთის“ მხარეს, რომლის თავდამსხმელი იმნაძე პირისპირ გავიდა მეკარე თხელიძესთან და გაიტანა პირველი გოლი. 35-ე წუთზე გაგუამ გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

შესვენების შემდეგ ფოთელებმა გააძლიერეს იერიშები, ჯერ გვალიამ, ხოლო შემდეგ თვარაძემ და იმნაძემ ანგარიში აიყვანეს 4:1-მდე. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო გაგუამ სხვაობის შემცირება 2:4-მდე.

მართალია, გორელებმა ეს მატჩი წააგეს, მაგრამ კოლექტივი ახლა დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ფეხბურთელებით, რომლებსაც სამერმისოდ გარკვეული პერსპექტივები გააჩნიათ.

ი. თევდორაშვილი.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

„დინამო“ (ბათუმი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:1 (1:0)

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და თითქმის მთელი ტაიმი მეტოქის ნახევარზე გაატარეს. თბილისელები ენერგიულად იცავდნენ თავს, მაგრამ 45-ე წუთზე დინამოელებმა მაინც იმარჯვეს: შაკიროვი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, მიაწოდა კარის წინ და გორგილაძემ პირველი გოლი გაიტანა „ლოკომოტივის“ კარში.

როგორც კი შესვენების შემდეგ განახლდა თამაში, 47-ე წუთზე, გორგილაძის ზუსტი გადაცემა კარგად გამოიყენა ზედანიამ და თავით გაგზავნა მეორე ბურთი მეტოქის კარში.

ამის შემდეგ თბილისელებმა საგრძნობლად გამოაცოცხლეს თამაში, რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტიც შექმნეს დინამოელთა კართან. 50-ე წუთზე მათ მიეცათ გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, როცა ბათუმელთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ მეკარე მამინაშვილმა შეძლო კიკნაძის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება.

75-ე წუთზე იმავე კიკნაძემ ინდივიდუალური გარღვევის შედეგად გამოასწორა თავისი „დანაშაული“ — 1:2.

საინტერესო, დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ ბათუმის დინამოელებს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს ბათუმელი გორგილაძე და თბილისელი კორღალიძე. აღსანიშნავია ქუთაისელი არბიტრის ა. აფრიდონიძის კვალიფიციური მსაჯობა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

I-VIII ადგილები

სამტრედიის „ლოკომოტივს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ოქტემბერიანში ადგილობრივ „სპარტაკთან“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ზონის ლიდერმა — აბოვიანის „კოტაიკმა“ შინ ფრედ ითამაშა სტეფანაკერტის „ყარაბახთან“ — 2:2.

სოხუმის დინამოელებმა ქულა აიღეს აშხაბადში, ადგილობრივ „კოლხოზჩისთან“ მატჩში — 1:1.

„ბასტია“ და სხვანი

საფრანგეთის 1981-82 წლების საფეხბურთო ჩემპიონატი იმ ქვეყნების პირველობათაგან განსხვავებით, სადაც შემოდგომა-გაზაფხულის ფორმულით თამაშობენ, ყველაზე ადრე დაიწყო — ივლისის მიწურულში. ამას ორი გარემოებით ხსნიან: ჯერ ერთი, საფრანგეთის პირველ დივიზიონში ბევრი გუნდი გამოდის — 20 (უფრო მეტი — 22 მხოლოდ ინგლისშია) და მეორეც — ფრანგებს უნდათ მოიგონ დრო მსოფლიო ჩემპიონატის წინ ნაკრების მოსამზადებლად. ამ მხრივ თადარიგის დაჭერამ შეიძლება სრულიად ფუჭად ჩაიაროს, ვინაიდან „სამფეროვნებს“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის მხოლოდ მინიმალური შესაძლებლობა აქვთ.

ჩემპიონატის წინ მოელოდნენ, რომ პირველი ადგილისთვის 1980 წელს გამარჯვებული „ნანტი“ და ახლანდელი ჩემპიონი „სენტ-ეტიენი“ იბრძოლებდნენ. ეს აზრი ჯერჯერობით არ მართლდება. განსაკუთრებით წარუმატებლად გამოდის „ნანტი“, რომლის შემადგენლობაში ახალი სეზონიდან გამოდის ცნობილი იუგოსლაველი ცენტრალური თავდამსხმელი ჰალილჰოჯიჩი. „ნანტის“ მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მარცხენა გარემარბი ვენსანი ხელებს ასავსავებს — იუგოსლაველს თამაში აშკარად არ გამოუდის. აი, რა გამოთვალეს ფრანგმა სტატისტიკოსებმა. ჰალილჰოჯიჩმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩების პირველ 810 წუთში საერთოდ ვერ შეძლო ბურთის გატანა, თუმცა ცნობილ სნაიპერად კი ითვლება. ამ გუნდში კიდევ ორი იუგოსლაველია — მცველი ლუკეტინი და ნახევარმცველი ივეზიჩი.

XI ტურის შემდეგ 16 ქულით პირველ ადგილზეა „სოშო“, გუნდი, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1980-81 წლების ჩემპიონატში და უეფა-ს თასის გათამაშებაში. მან ბოლო ტურში ანგარიშით 2:1 სძლია საფრანგეთის ექს-ჩემპიონ „ნიცას“, რომელსაც ახლა მძიმე დღეები დაუდგა.

ბორდოს „ჟირონდამ“, რომელიც 10 ტური დაუმარცხებლად ლიდერობდა, სტუმრად ანგარიშით 0:1 წააგო „სტად ლავალთან“. „ჟირონდას“ შემადგენლობაში საკმაოდ არათანაბრად თამაშობს ცნობილი მეკარე პანტელიჩი, თუმცა მან უკვე გაიტანა გოლი მეტოქის კარში (პანტელიჩი 11-მეტრიანი დარტყმის ოსტატია).

14 ქულით და 1 გამოტოვებული მატჩით მესამე ადგილზეა „სენტ-ეტიენი“, რომელსაც ჩემპიონთა თასის წინასწარ წრეშივე მოეცარა ხელი და ამიტომ ახლა განსაკუთრებული მონდომებით იბრძვის. მწვრთნელ ერბენს ის ახარებს, რომ კარგა ხნის კრიზისის შემდეგ ჩინებულად დაიწყო თამაში გუნდის (და საერთოდ ფრანგული ფეხბურთის) ვარსკვლავმა პლატინიმ. XI ტურში „სენტ-ეტიენმა“ (რაც ქართულად „წმინდა სტეფანეს“ ნიშნავს) პრინციპული მატჩი მოუგო „ნანტს“ — 1:0.

რაც შეეხება თბილისელთა მომავალ მეტოქეს ევროპულ გათამაშებაში — „ბასტიას“, იგი ჯერჯერობით არათანაბრად თამაშობს. გუნდმა რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა: „ბრესტთან“ — 3:1, ლილის „ოლიმპიკთან“ — 3:2, მაგრამ სტუმრად, როგორც წესი, აგებს და იშვიათად აღწევს ფრეს. მის მიერ ჩატარებული მატჩებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძაფრი იყო IX ტურის შეხვედრა შინ „ჟირონდასთან“. როგორც იუგოსლაველი მიმომხილველი მ. გალიჩი ბასტიადან იუწყება, „ჟირონდა“ უკეთ თამაშობდა და უნდა მოეგო კიდეც, მაგრამ მას მეკარე პანტელიჩმა უმტყუნა, რომელმაც 2 იოლი ბურთი გაუშვა. „ასეთია მეკარის ხვედრი, — წერს მიმომხილველი, — მან რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მაგრამ შეცდომები არავის ავიწყდება“. საბოლოო ანგარიში გახლდათ 4:4. ყველაზე დიდი დამარცხება „ბასტიამ“ ჯერჯერობით ლიონის „ოლიმპიკთან“ იგემა — 1:4.

XI ტურის შემდეგ „ბასტია“ 12 ქულით IX ადგილზე იყო, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა კორსიკელებს თანაბარი ჰქონდათ — 22-22.

გ. თორელი.

„ფსირცხა“ აფხაზეთის ჩემპიონია

დამთავრდა აფხაზეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა გუდაუთის რაიონის ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის გუნდმა „ფსირცხამ“. ახალი ჩემპიონი დამაჯერებლად მიდიოდა საპატიო კვარცხლბეკისკენ. როცა პირველად ჩაება აფხაზეთის ჩემპიონატში, VI ადგილზე გავიდა, მომდევნო სეზონში კვლავ მეექვსე, შარშან კი III საპრიზო ადგილი მოიპოვა. და აი, წლეულს დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

„ფსირცხას“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ პაპბა, ნეფიოდოვი, გურზანია, კუხალეიშვილი, არგუნი, კილასონია, ეკსუზიანი, ს. ტოპჩიანი (გუნდის კაპიტანი), ბენიძე, ოგანიანი, რ. ტოპჩიანი, ჰ. იაპანჩიდი, იფანტიდი, ზებელიანი, აიუბბა, ლეონოვი, ნ. იაპანჩიდი, ჩაკრიანი, ხაგბა, ტყებუჩავა და კაკაჩია (მწვრთნელები პ. და ს. იაპანჩიდები). II ადგილზე გავიდა სოხუმის „ბიტოვიკი“ (მწვრთნელი ნ. ილიადი). მესამე პრიზიორი გახდა გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი „ისკრა-81“ (მწვრთნელი — ინსტრუქტორ-მეთოდისტი შ. შამათავა).

აღსანიშნავია, რომ შარშან ოქუმელებს სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი ეკავათ. წინა წლებთან შედარებით უკეთ იასპარეზეს სოხუმის „ტრუდმა“, ტყვარჩელის „სტროიტელმა“, რომლებმაც შესაბამისად IV და VI ადგილები დაიკავეს.

საერთოდ ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა. მსაჯებს მხოლოდ 5-ჯერ დაჭირდათ „წითელი ბარათის“ ჩვენება. გაფრთხილება მიიღო მხოლოდ 13 ფეხბურთელმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შარშანდელ სეზონთან შედარებით მოთამაშეთა შორის დისციპლინა განმტკიცდა.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს მეკარე გ. ჟორდანია („ბიტოვიკი“), მცველი ს. ტოპჩიანი („ფსირცხა“), ნახევარმცველი ვ. ვიხარიოვი („ტრუდი“), თავდამსხმელები გ. სართანია („ბიტოვიკი“) და ა. ხაგბა („ფსირცხა“). საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოიპოვა გ. ჩხაპელიამ („ისკრა-81“), რომელმაც 38 გოლი გაიტანა, საუკეთესო არბიტრისა კი — სოხუმელმა დ. სანაიამ, რომელსაც აფხაზეთის ჩემპიონატის კვალიფიციური მომსახურებისთვის აფხაზეთის სპორტკომიტეტმა I კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა. ეს წოდება მიენიჭა, აგრეთვე, ახალგაზრდა მსაჯს, სოხუმელ ზ. მილჩენკოს. ყველაზე კორექტულ გუნდად მიჩნეულია სოხუმის „მედიკი“, რომლის მოთამაშეებს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ უჩვენეს „ყვითელი ბარათი“.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,
ა. ზარდანია,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: აფხაზეთის ჩემპიონი „ფსირცხას“ გუნდი.

ევროპის საკლუბო ტურნირები

გაგაცნობთ 2 მატჩის შედეგს, რომელიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი ლიეჟის „სტანდარდსა“ (ბელგია) და მალტის „ფლორიანას“ შორის დამთავრდა ანგარიშით 9:0 (3:1).

უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებით ოცდამეთორმეტედფინალურ მატჩში მადრიდის „ატლეტიკომ“ (ესპანეთი) ანგარიშით 3:1 დაამარცხა პორტუს „ბოავიშტა“ (პორტუგალია). პირველ მატჩში გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა — 4:1 და შემდეგ წრეშიც ისინი გავიდნენ.

თითქმის ყველაფერი მზადაა

ესპანეთის იმ სტადიონების საბოლოო მომზადება, რომლებიც გაისად მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურებიან, საცაა დამთავრდება. წლის ბოლოსათვის მზად იქნება ძირითადი მინდვრები მადრიდში, ბარსელონასა და ვალენსიაში, ხოლო ვიგოს, ბილბაოს, ხიხონისა და ოვიედოს სტადიონები იანვრისთვის ჩადგება მწყობრში.

მოთამაშე მწვრთნელი

საბჭოთა ფეხბურთელი ზინჩენკო, რომელიც ვენის „რაპიდში“ გამოდის, დანიშნულია ამ კლუბის ახალგაზრდული გუნდის მოთამაშე-მწვრთნელად. დებულების თანახმად, ამ გუნდში უფროსი ასაკის 2 სპორტსმენს შეუძლია თამაში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

2,7 მილიონით ნაკლები

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, ამ ქვეყნის 1980-81 წლების ჩემპიონატს 2,7 მილიონი მაყურებლით ნაკლები დაესწრო, ვიდრე 1979-80 წლების ჩემპიონატს.

მხოლოდ 4 გუნდს ჰყავდა მეტი მაყურებელი, ვიდრე ადრე: „იფსვიჩ თაუნს“, „ასტონ ვილას“, „საუთჰემპტონსა“ და „ლესტერ სიტის“.

ნეცერი რეფორმას მოითხოვს

„ჰამბურგერ შპორტფერაინის“ მენაჯერმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ნეცერმა განაცხადა, რომ გფრ-ის ბუნდესლიგა რეფორმას საჭიროებს.

— აქ 18 კლუბი კი არ უნდა მონაწილეობდეს, არამედ 14, ამასთან ჩემპიონატი ორსაფეხურიანი უნდა იყოს. ამ 14 გუნდს შორის ექვსმა უძლიერესმა ბრძოლა უნდა გააგრძელოს ჩემპიონის წოდებისთვის...

ზიკო ბრაზილიაში რჩება

ბრაზილიის ნაკრებისა და რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოს“ უძლიერესმა ფეხბურთელმა ზიკომ გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დამთავრებამდე სამშობლოში დარჩეს და უარი შეუთვალა მიწვევაზე იტალიის „მილანს“.

ამჯერად ჭადრაკის სასახლეში...

დასასრული

ნერვიული დაძაბულობაც დიდია. ამიტომ პარტიებში ზოგჯერ გვხვდება შეცდომა, არაზუსტი მანევრი.

უნდა ითქვას, რომ მეტოქენი ჩინებულად თამაშობდნენ ენდშპილში. სწორედ აქ ვლინდება მოჭადრაკის დიდოსტატური კლასი, რადგან პარტიის ეს ნაწილი ყველაზე მეტად მოითხოვს ერუდიციას, სიზუსტესა და ხასიათის სიმტკიცეს. ამ მხრივ საინტერესოა, მაგალითად, მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე პარტიები.

ყოველივე ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. ცხადზე უცხადესია, რომ მატჩის მეორე ნახევარი კიდევ უფრო მძაფრი და მღელვარე იქნება, უეჭველია დიდოსტატი ქალები მეტი თავგამოდებით გააგრძელებენ სპორტულ-შემოქმედებით დავას.

დღეს, 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაგეგმილია მეცხრე პარტია. თეთრებით უნდა ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ წინაა მ. ჩიბურდანიძე — 4,5:3,5. მომდევნო 8 პარტიაში მისთვის 3,5 ქულის მოგროვებაც საკმარისია ჩემპიონის სახელის შესანარჩუნებლად. ნ. ალექსანდრიას კი იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლოს, 5 ქულა სჭირდება.

თ. გიორგაძე.

ლიდერები არ შეცვლილან

ივანო-ფრანკოვსკში ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის ქალთა 41-ე ჩემპიონატი. შედგა VII ტურის შეხვედრები.

კვლავ წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოჭადრაკეებმა: ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი ე. ხოროვეცი (მინსკი), ნ. იოსელიანმა — ოსტატობის კანდიდატი ა. ალიევა (ბაქო) და თ. ხუგაშვილმა — ოსტატობის კანდიდატი თ. მეშჩერინა (მოსკოვი). ი. ოსტრიიმ მოუგო ტ. პუდკოვას (ორივე — ფრუნზე).

ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — ე. ეპშტეინი (კლაიპედა). ოთხი პარტია გადაიდო.

VIII ტურში გაფრინდაშვილი დაუზავდა ოსტრიის, ნ. გურიელმა დაამარცხა მეშჩერინა, ხოლო ხუგაშვილმა წააგო ხოროვეცთან. უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია იოსელიანმა, რომელიც საერთაშორისო ოსტატ ეპშტეინს შეხვდა.

8 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 6 ქულა აქვს, ნ. იოსელიანს — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ოსტრიის — 5,5, თ. ხუგაშვილს — 5. ნ. გურიელს 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

მხიარული ფანქრით საჭადრაკო თემაზე

უსიტყვოდ.



ტაიმ-აუტი...

ვ. კუციას ნახატები.

● ავტორალი

კარპატების გზებზე

კარპატებში გაიმართა 24-ე საკავშირო ჩემპიონატი ავტორალიში. ეს იყო მესამე, დასკვნითი ეტაპის შეჯიბრება. პირველობისთვის იბრძოდნენ „ჟიგულის“, „მოსკვიჩისა“ და „ვოლგის“ კლასის მანქანები.

გუნდური პირველობა მოიგეს ესტონელებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლიტვისა და რსფსრ-ის გუნდები.

საგანგებოდ მომზადებული მანქანებით პირად ასპარეზობაში (სულ 33 ეკიპაჟი გამოდიოდა) ჩემპიონის ოქროს მედლები მიიღეს ესტონელებმა ვ. სოოტსმა და ტ. ვუნმა. „ჟიგულებით“ რბოლა დამთავრდა ოდესელების ს. რუკოვიჩისა და ვ. ასტახოვის გამარჯვებით. „მოსკვიჩების“ კლასში ჩემპიონები გახდნენ ს. ბრუნძა და ა. ვადაუსკასი, ხოლო „ვოლგებით“ — ი. ტუმულიავიჩუკი და პ. ვიდეიკა (ლიტვა).

კოე და ოვეტი

ინგლისელ სპორტულ ჟურნალისტთა სპეციალური გამოკითხვის შედეგად ქვეყნის № 1 სპორტსმენად აღიარებულია ცნობილი მორბენალი სებასტიან კოე.

მეორე ადგილი ხვდა არანაკლებ ცნობილ მორბენალს სტივ ოვეტს.

● კალათბურთი

კიდევ ორი ჟური

ტალინსა და მინსკში, სადაც გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, მორიგი ტურების შეხვედრები გაიმართა. მინსკში თბილისის დინამოელებმა კვლავ წარუმატებლად იასპარეზეს. კაუნასის „ჟალგირისთან“ მატჩში ისინი ტაიმს 9 ქულით აგებდნენ — 36:45. შესვენების შემდეგ მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს, ტაიმის მიწურულში დაწინაურებაც შეძლეს, მაგრამ საბოლოოდ მოედანი მაინც დამარცხებულებმა დატოვეს — 73:77.

თბილისის „დინამოსა“ და კიევის არმიელთა კოლექტივების შეხვედრაში ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. არმიელებმა მხოლოდ მცირე უპირატესობის მოპოვება შეძლეს (43:40), მაგრამ შესვენების შემდეგ კიეველთა უპირატესობა სულ უფრო აშკარა გახდა და საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს — 99:71.

საკავშირო ჩემპიონატის მეორე და მესამე ტურის სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 108:83. „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტალინი) 90:85, ვეფ-ი (რიგა) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) — 99:87, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ვეფ-ი (რიგა) 85:84, „სტროიტელი“ (კიევი) — „კალევი“ (ტალინი) 85:64, „სტროიტელი“ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 77:70, ცსკა — ასკ (კიევი) 96:84, ცსკა — რტი (მინსკი) — 79:76, რტი (მინსკი) — „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — 92:86, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — 72:67.

● რეგბი

ჩემპიონატის ფინიშზე

გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. „ექსკავატორტიაჟსტროისა“ და „ავიატორის“ შეხვედრა, რომელიც კრასნოიარსკში ჩატარდა, დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 6:3 (3:0). მოსკოვის ოლქის სსა მასპინძლობდა თბილისის „ლოკომოტივს“. მატჩი დამთავრდა სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტთა გამარჯვებით — 9:3 (3:0). მოსკოვის გუნდების „ლოკომოტივისა“ და „სლავას“ ორთაბრძოლაში იმარჯვეს რკინიგზელებმა — 12:9 (3:6).

ფინიშამდე ორი ტურით ადრე ლიდერობს სსა — 49 ქულა, თბილისელები 45 ქულით მეორე ადგილზე არიან, „ავიატორს“ 43 ქულა აქვს, მოსკოვის ლოკომოტივს“ — 38.

● ველოსპორტი

ტრეკსა და გზატკეცილზე

ალმა-ათაში ტრეკზე გრძელდება საკავშირო შეჯიბრება. ქალთა 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მასპინძელმა ტ. კოლესნიკოვამ, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ლენინგრადელი გ. ცარიოვა. ცარიოვა საბოლოოდ „ბრინჯაოს“ დასჯერდა. „ვერცხლი“ მიიღო ჩელიაბინსკელმა ე. სტარიკოვამ.

საკავშირო თასისთვის ბრძოლაში ვაჟთა სპრინტში კვლავ წარმატებით გამოვიდა ტულელი ს. კოპილოვი. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში კი ბადალი არ ჰყავდა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ს. ნიკიტენკოს (კუიბიშევი).

მრავალდღიან ველორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეები მეათე ეტაპზე ნოვოროსიისკის მიდამოებში ასპარეზობდნენ და თანდათან უახლოვდებიან ფინიშს, რომელიც მცირე მიწაზე მოეწყობა. მეათე ეტაპის 179 კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაიარა 17 წლის ცელინოგრადელმა ს. ნავოლოკინმა — 4:32.0.

ათი ეტაპის შემდეგ ლიდერობს 19 წლის კუიბიშეველი ვ. დემიდენკო. გუნდურ ჩათვლაში წინ არის რსფსრ-ის ნაკრები.

● ხელბურთი

მოგებაც, წაგებაც...

რიგის სპორტის სასახლეში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების 1982 წლის საკავშირო ჩემპიონატის I წრის II ტურის შეხვედრები. მორიგ მატჩში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ძნელ ბრძოლაში გასტეხა მოსკოვის სპორტკლუბ „კუნცევოს“ წინააღმდეგობა. მატჩის პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა (15:15). საბოლოოდ შეხვედრა თბილისელებმა მოიგეს — 28:27.

სპი-სა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდების მატჩში თბილისელები დამარცხდნენ — 33:35 (16:17).

ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — მინსკის არმიელთა გუნდმა ჯერ მაი-ს მოუგო — 36:29, შემდეგ რიგის „ცელტნიეკსი“ დაამარცხა — 26:23 და 16 ქულით ლიდერობს. „ცელტნიეკსმა“ შეძლო ქ. ტირასპოლის გუნდთან შეხვედრაში გამარჯვების მოპოვება (31:26) და ახლა იგი სატურნირო ცხრილის მეორე ადგილზე იმყოფება.

სხვა შედეგები ასეთია: „გრანიტასი“ (კაუნასი) — ზიი (ზაპოროჟიე) 29:30, „გრანიტასი“ (კაუნასი) — ფისკ (კრასნოდარი) 24:25, ცსკა — ასკ (კიევი) 27:26, ცსკა — ზიი (ზაპოროჟიე) 34:21, „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — ფისკ (კრასნოდარი) 22:22, „პოლიოტი“ — ქ. ტირასპოლის გუნდი 35:27, ასკ (კიევი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) 25:21.

● მძლეოსნობა

მსოფლიო თასი — იტალიელებს

ესპანეთის ქალაქ ვალენსიას მიდამოებში გათამაშდა ეროვნული ნაკრები გუნდების მსოფლიო თასი სპორტულ სიარულში. ასპარეზობაში 19 ქვეყნის 170 ქალი და ვაჟი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს იტალიელებმა, რომლებმაც პირად ტურნირში რატომღაც ვერც ერთი პირველი ადგილი ვერ დაისაკუთრეს.

20 კილომეტრზე სიარულში წარმატებას მიაღწია მექსიკელმა ე. კანტომ — 1:23,52. აქ საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო (IV ადგილი) იყო ე. ევსიუკოვი (სოჭი) — 1:24.51. 50 კილომეტრზე შეჯიბრებაში უძლიერესის სახელი მოიპოვა მეორე მექსიკელმა რ. გონსალესმა — 3:48.30, რომელმაც 4 წამით აჯობა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს ჰ. გაუდერს (გდრ). საბჭოთა ოსტატთაგან ყველას აჯობა იჟევსკელმა ვ. სუნცოვმა — VII ადგილი, 4:01.30.

ქალთა შორის 5 კილომეტრზე სიარულში კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურებზე ავიდნენ საბჭოთა მძლეოსნები — ქვეყნის ჩემპიონი ჩებოქსარიდან ა. დევერინსკაია — 23.17,02 და კიეველი ლ. ხრუშჩევა — 23.25,5. ჩემპიონი გახდა გუსტავსონი, რომლის დროა 22.56,9.

მძიმე მანქანებით

შვეიცარიაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი მოტორბოლაში. 1000 კუბ. სმ. კლასის მანქანებით ყველაზე კარგად იასპარეზეს და ჩემპიონობა მოიპოვეს ჰოლანდიელმა მოტომრბოლელებმა ვან ჰოგენმა და კიგენმა, რომლებსაც თქვენ ამ ფოტოზე ხედავთ.

ხაკდესის ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სახელმწიფო
ფიზიკური კულტურის
ინსტიტუტი
აცხადებს

მიღებას ასპირანტურაში სპეციალობით — ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის თეორია და მეთოდიკა (ვიწრო სპეციალიზაცია — ჩოგბურთი) 1 ადგილი დასწრებული სწავლებით.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, დახასიათება უკანასკნელი სამსახურის ადგილიდან ასპირანტურაში მიღების რეკომენდაციით, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ფოტოსურათი, დიპლომი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია.

ასპირანტურაში ჩასარიცხი პირები საბუთებთან ერთად ადგენენ სამეცნიერო ნაშრომთა სიას, ხოლო ისინი, ვისაც არა აქვს სამეცნიერო ნაშრომები, რეფერატს არჩეული სპეციალობის თემაზე.

ასპირანტურაში წარმოებიდან მოწყვეტით მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე 35 წლამდე მოქალაქენი, რომელთაც გააჩნიათ საერთო მუშაობის სტაჟი არანაკლები 3 წლისა.

საბუთები მიიღება ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, 380062, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, ტელეფონი: 23-09-02.

ინსტიტუტის კადრების განყოფილება.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავას, 29.

ИНДЕКС 66435

1 /2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

შპ 14668